



საჩუქრადგაცემი წერილი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხელმძღვანელობას**

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისთვის
კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტის შედეგების შესახებ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის მინისტრს
ბატონ ირაკლი ქარსელაძეს

ბატონო ირაკლი,

მოგესხნებათ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გაიცა უარყოფითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

მიმდინარე აუდიტის ფარგლებში და წინა პერიოდის აუდიტების შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების შედეგები ასახულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემაში – ARIS (www.aris.sao.ge).

პატივისცემით,

ცოტნე ყავლაშვილი

გენერალური აუდიტორი

ტერმინები და შემოკლებები.....	2
1. რეკომენდაციები	3
2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები.....	11
3. კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობის საკითხები	16
4. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა	17
საკონტაქტო ინფორმაცია.....	19

ტერმინები და შემოკლებები

სამინისტრო – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

მინისტრი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი.

სამინისტროს აპარატი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი.

აღრიცხვის ინსტრუქცია – „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე, ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

დეპარტამენტი – სსდ – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

სსდ – სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება.

ფონდი – სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

ცენტრი – სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი.

ცვეთის ინსტრუქცია – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

1. რეკომენდაციები

1.1 მატერიალური მარაგები

აუდიტის მიგნება	სსდ – საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში „მატერიალური მარაგების“ მუხლის ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 6,534,896 ლარს, საიდანაც 4,729,201 ლარის საბალანსო ღირებულების მქონე მარაგებთან დაკავშირებით 2021 წელს ბრუნვა არ ფიქსირდება.¹ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ობიექტისგან მიღებული განმარტებების ანალიზის შედეგად გამოვლინდა 708,753 ლარის² ისეთი მარაგი,³ რომელიც საჭიროებს დამატებით შესწავლას ვარგისიანობის დასადგენად. ამასთანავე, 3,277,516 ლარის მარაგი, რომელზეც ბრუნვა არ ფიქსირდება ბუღალტრული ჩანაწერების მიხედვით, არის დროებითი ხიდები,⁴ რომლებიც გამოიყენება მრავალჯერადად და განკარგულების საფუძველზე კონტრაქტორებს გადაეცემათ სარგებლობაში თხოვნის ფორმით.
მიზეზი	აქტივების არასათანადო კონტროლი; არასათანადო აღრიცხვა.
გავლენა	„მატერიალური მარაგების“ მუხლში არსებული უზუსტობები.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია დეპარტამენტმა მარაგების მუხლში აღრიცხული დროებითი ხიდები შეაფასოს მისი რეალური ღირებულებით, განსაზღვროს შესაბამისი მომსახურების ვადა და აღრიცხოს ძირითად აქტივად. ამასთანავე, ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის და აქტივების ეფექტიანი მართვის მიზნით, მიზანშეწონილია სამინისტრომ უზრუნველყოს მომავალი გამოყენებისთვის იდენტიფიცირება უსარგებლო აქტივებსა და გამოუსადეგარ ქონებასთან დაკავშირებით, შეაფასოს მათი შემდგომი განკარგვის საუკეთესო ალტერნატივები.
კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სსდ – საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

1.2 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება	სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“ შეადგენს 18,532,695 ლარს და წარმოადგენს სხვადასხვა პერიოდში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში⁵ ფულად და ქონებრივ შენატანებს, კომპანიების დაგროვილი აკუმულირებული ზარალის გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ სამინისტროში 2019 წლამდე, სახელმწიფო საწარმოებში
-----------------	---

¹ უმომრავო რკინისა და ბეტონის მასალები, დროებითი ხიდები.

² 708,753 ლარის საბალანსო ღირებულების აქტივი ექვემდებარება ვარგისიანობის დასადგენად ექსპერტიზის ჩატარებას.

³ უმომრავო რკინისა და ბეტონის მასალები.

⁴ ასაწყობი ხიდი.

⁵ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.

არსებული ყველა შენატანი⁶ აკუმულირდებოდა მუხლში „აქციები და სხვა კაპიტალი“. 2019 წლიდან სამინისტრომ შეცვალა მიდგომა და ფულადი შენატანები „აქციებისა და სხვა კაპიტალის“ ნაცვლად დააკლასიფიცირა „სხვა ხარჯების“ მუხლში,⁷ როგორც „კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“. 2021 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სამინისტრომ 2019-2020 წლებში „სხვა ხარჯების“ მუხლში კლასიფიცირებული 53,288,198 ლარის ფულადი შენატანები რეტროსპექტულად ასახა,⁸ როგორც გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის „აქციები და სხვა კაპიტალი“.⁹ გარდა ამისა, 2021 წელს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიაში 11,000,000 ლარის ფულადი შენატანი, ასევე კლასიფიცირდა როგორც „აქციები და სხვა კაპიტალი“.¹⁰ აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს ფინანსთა მინისტრის N99 ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციას“, რომლის მიხედვით, საჯარო კორპორაციის მიერ წლების განმავლობაში აკუმულირებული დანაკარგებისა და უარყოფითი საოპერაციო ბალანსის შესავსებად გადაცემული სახსრები და ასევე ინვესტირება, უკუგების და სარგებლის მიღების მოლოდინის გარეშე აღირიცხება როგორც „კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“.

მიზეზი

აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა.

გავლენა

ფინანსური ანგარიშგების მუხლი – „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“ გაზრდილად არის წარმოდგენილი, ხოლო „სხვა ხარჯების მუხლი“ – შემცირებულად.

რეკომენდაცია

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ფინანსთა სამინისტროსთან კოორდინაციით იმსჯელოს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში „აქციები და სხვა კაპიტალის“ მუხლში 2019-2021 წლებში ფულად შენატანებთან დაკავშირებით და იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტი, რომელზეც გაიცა

სამინისტროს აპარატი.

რეკომენდაცია

შესასრულებლად

1.3 სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდს „სხვა არაფინანსური აქტივების“ მუხლის ბალანსზე ერიცხება 4,141,269 ლარის¹¹ დაუმთავრებელი აქტივები,

⁶ ფულადი და ქონებრივი შენატანები.

⁷ ასევე აღნიშნულია სამინისტროს 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიშში.

⁸ საქართველოს მთავრობის განკარგულებები: N273 (13.02.2019); N174 (30.01.2020).

⁹ ვინაიდან გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის აკუმულირებული ზარალი აღემატება ინვესტიციების სრულ მოცულობას, კომპანიის მიმართ გაცემული ინვესტიციები 0-ს გაუტოლდა.

¹⁰ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 12 თებერვლის N230 განკარგულება.

¹¹ 2,276,291 ლარის აქტივი, ინვენტარიზაციის აქტის თანახმად, არის პროექტით გათვალისწინებული ტექნიკის იმპორტის გადასახადის კაპიტალიზაცია, რომელთან დაკავშირებული აქტივიც უკვე გადაცემულია შესაბამის ბენეფიციარზე, ხოლო 59,947 ლარის კვლევის შედეგად წარმოქმნილი აქტივი, არის წინა პერიოდის ხარჯი და არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

რომლებზეც 2021 წელს ბრუნვა არ ფიქსირდება და შესაძლოა არ აკმაყოფილებდნენ აქტივად აღიარების კრიტერიუმს. მათ შორის, 996,359 ლარის აქტივზე 2018 წლიდან ბრუნვა არ ყოფილა და მათი სამომავლო გამოყენების გეგმა ფონდს შემუშავებული არ აქვს და 808,672 ლარის ღირებულების 2012 წლამდე წარმოშობილი აქტივების იდენტიფიცირება და ინვენტარიზაცია ვერ ხერხდება.

აღსანიშნავია, რომ მოცემული ნაშთები იდენტიფიცირებულია ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2020 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიშში, რასთან დაკავშირებითაც გაიცა შემდეგი რეკომენდაცია: „ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია მუნიციპალური განვითარების ფონდმა ჩაატაროს დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია, რის შედეგადაც დადგინდება მათი წარმოშობის საფუძვლები, სტატუსი და შემდგომში მათი ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობა, ხოლო ისეთი აქტივების იდენტიფიკაციის შემთხვევაში, რომელთა მომავალში გამოყენება შეუძლებელია, იმსჯელოს გამომწვევ მიზეზებზე და იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად.“ აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია ნაწილობრივ, ვინაიდან ინვენტარიზაცია მოიცავს მოცემულ აქტივებს, თუმცა ფონდის მიერ აქტივების წარმოშობის საფუძვლებთან, სტატუსთან და მათი შემდგომში ეფექტიანად გამოყენებასთან დაკავშირებით, შეფასება არ გაკეთებულა.

მიზეზი ფონდში დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია სრულფასოვნად არ ჩატარებულა.

გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში შესაძლოა არსებობდეს ისეთი დაუმთავრებელი აქტივები, რომელთა შემდგომში გამოყენება არ არის მოსალოდნელი.

რეკომენდაცია ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია მუნიციპალური განვითარების ფონდმა სრულფასოვნად ჩაატაროს დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია, რის შედეგადაც დადგინდება დაუმთავრებელი აქტივების წარმოშობის საფუძვლები, სტატუსი და შემდგომში მათი ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობა, ხოლო ისეთი აქტივების იდენტიფიკაციის შემთხვევაში, რომელთა მომავალში გამოყენება შეუძლებელია, იმსჯელოს გამომწვევ მიზეზებზე და იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი.
შესასრულებლად

1.4 საწყისი ნაშთები

აუდიტის მიგნება სსიპ – ვერაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის მიერ გადაცემული დეპარტამენტის ბალანსზე არსებული ნაშთები განულდა და აღირიცხა ხელახლა. ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია დეპარტამენტის საწყისი ნაშთების კორექტირებები, რომელიც ასევე მოიცავს ზემოაღნიშნულ საკითხს:

მუხლის დასახელება	01.01.2021	31.12.2020	საწყისი ნაშთის ზრდა /(შემცირება)
„ძირითადი აქტივები“	4,552,738,263	3,787,161,065	765,577,198 [1]
„სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები“	1,644,090,761	2,315,064,896	(670,974,135) [1]
„სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები“	990,187,277	1,112,753,384	(122,566,107) [2]
„მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები, გარდა პროცენტისა“	78,279,817	50,290,988	27,988,829 [3]
„გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები“	75,509,909	89,202,670	(13,692,761) [3]

[1] განმარტებით შენიშვნებში წარდგენილი ინფორმაციით, „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების“ საწყისი ნაშთის კორექტირება ძირითადად გამოწვეულია, „დაუმთავრებელი მშენებლობიდან“ აქტივის – „ძირითად აქტივებში“ გადატანით, თუმცა ზემოთ აღწერილის მსგავსად, „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების“ მუხლის საწყისი ნაშთი დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის საფუძველზე დაკორექტირდა და ფორმულირდა თავიდან. ცხრილში მოცემული 670,974,135 ლარის „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების“ საწყისი ნაშთის შემცირებასთან დაკავშირებით, ვერ მივიღეთ რწმუნება დეპარტამენტის საბუღალტრო პროგრამაში აღრიცხულ განულებულ ნაშთს¹² და ევრაზიის პროგრამაში თავიდან აღრიცხული აქტივების ჯამურ ღირებულებას¹³ შორის სხვაობაზე, რამაც 410,939,387 ლარი¹⁴ შეადგინა.

[2] „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივებთან“ დაკავშირებული 122,566,107 ლარის კორექტირება გამოწვეულია დეპარტამენტის ბალანსზე ცენტრის მიერ გრანტის სახით გადაცემული წინასწარ გადახდილი თანხების ნაშთის – 1,053,917,187 ლარის კორექტირებით, რომელმაც 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 931,351,430 ლარი შეადგინა. აქედან, იდენტიფიცირებულ იქნა მხოლოდ 70,178,791 ლარის აქტივი, რომელზეც შექმნილია საეჭვო მოთხოვნების ანარიცხი, ხოლო დანარჩენ კორექტირებულ 52,386,966 ლარზე ვერ მივიღეთ რწმუნება. ორგანიზაციის განმარტებით შენიშვნებში წარდგენილი ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული გამოწვეულია აღრიცხვის საკასო მეთოდიდან დარიცხვის მეთოდზე გადასვლით.

[3] ვალდებულებებთან დაკავშირებული საწყისი ნაშთის კორექტირება უკავშირდება დეპარტამენტის ბალანსზე ცენტრის მიერ გრანტის სახით გადაცემულ გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებების ნაშთებს,

¹² 1,608,650,020 ლარი.

¹³ 1,197,710,633 ლარი.

¹⁴ თავიდან აღრიცხული აქტივების ნაშთი შემცირებულია.

	რომლებიც ანალოგიურად განულდა ¹⁵ და აღირიცხა თავიდან ცენტრის საბუღალტრო პროგრამაში.
მიზეზი	საწყისი ნაშთების მნიშვნელოვანი კორექტირებებით გამოწვეული უზუსტობების რისკი.
გავლენა	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საწყისი და საბოლოო ნაშთები.
რეკომენდაცია	რეკომენდებულია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი (საინვენტარიზაციო კომისია), რომელიც დეტალურად შეისწავლის და შექმნის სათანადო დოკუმენტაციას საწყისი ნაშთების კორექტირებებთან დაკავშირებით და დაადგენს, რამდენად სრულყოფილად არის ასახული ყველა ის ეკონომიკური მოვლენა, რაც დაკავშირებული იყო საწყისი ნაშთების აღრიცხვასთან.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სამინისტროს აპარატი; სსიპ – ევრაზიის საინვესტიციო ცენტრი; სსდ – საავტომობილო გზების დეპარტამენტი.
აუდიტის მიგნება	სსდ – საავტომობილო გზების დეპარტამენტის „არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებების“ საწყისი ნაშთი გაზრდილია, ხოლო „არაფინანსური აქტივების მოწოდებასთან დაკავშირებული მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება“ – შემცირებულია 6,019,327 ლარით. 2021 წელს დეპარტამენტმა დაფარა აღნიშნული გრძელვადიანი ვალდებულებები, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციაა.
მიზეზი	აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა.
გავლენა	მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას ახდენენ გრძელვადიან და მოკლევადიან ვალდებულებებზე.
რეკომენდაცია	რეკომენდებულია დეპარტამენტმა სამინისტროს აპარატთან კოორდინაციით, შეიმუშაოს შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა „არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებების“ რეკლასიფიკაციასა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებში შესაბამისი ინფორმაციის წარდგენასთან დაკავშირებით.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სამინისტროს აპარატი; სსდ – საავტომობილო გზების დეპარტამენტი.
1.5 ინვენტარიზაცია	
აუდიტის მიგნება	საბიუჯეტო ორგანიზაციებში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კონტროლის მექანიზმია, რომლის ერთ-ერთი მიზანია

¹⁵ დეპარტამენტის საბუღალტრო პროგრამაში განულებული:

- მოკლევადიანი ვალდებულებების ნაშთი – 27,476,642 ლარი; 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, თავიდან აღრიცხული – 55,465,471 ლარის „მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები, გარდა პროცენტისა“;

- გრძელვადიანი ვალდებულებების ნაშთი – 46,585,812 ლარი; 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით თავიდან აღრიცხული – 32,893,051 ლარის „გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები“.

დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი ძირითადი აქტივების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება მნიშვნელოვანია რწმუნების მოსაპოვებლად, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა აქტივი და ვალდებულება რეალურად არსებობს და ამასთანავე, ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა აქტივი და ვალდებულება სრულად არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. ინვენტარიზაციის სრულყოფილად ჩატარება მნიშვნელოვანია ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის სამართლიანი და უტყუარი წარდგენისათვის, ასევე იზრდება აქტივების ეფექტიანად მართვის შესაძლებლობა.

სამინისტროს ზოგიერთ სტრუქტურულ ერთეულში 2021 წელს ინვენტარიზაციის პროცესს ახლდა გარკვეული ნაკლოვანებები, კერძოდ:

სსდ – საავტომობილო გზების დეპარტამენტში მოთხოვნების და ვალდებულებების ინვენტარიზაცია¹⁶ სრულყოფილად არ ჩატარებულა.

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების,¹⁷ უძრავი ქონების, მატერიალური და არამატერიალური აქტივებისა¹⁸ და დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების¹⁹ ინვენტარიზაცია²⁰ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში არ არის ჩატარებული და ინვენტარიზაციის შედეგები 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული.²¹

მიზეზი

აქტივების არასათანადო კონტროლი.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული შესაძლო უზუსტობები.

რეკომენდაცია

აქტივების მართვაში არსებული ნაკლოვანებების გამოსავლენად და ფინანსური აქტივების დაკარგვის რისკის შესამცირებლად, სამინისტროს სტრუქტურაში შემავალმა ორგანიზაციებმა ინვენტარიზაცია უნდა ჩაატარონ ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N364 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის მოთხოვნათა შესაბამისად.

¹⁶ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2021 წლის 16 ნოემბრის N366 და 2022 წლის 3 იანვრის N1 ბრძანებების საფუძველზე შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმი (15.02.2022).

¹⁷ ფონდის დირექტორის 2022 წლის 12 ივლისის Nს-37 ბრძანებით შეიქმნა სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის საინვენტარიზაციო კომისია, რომელსაც დაევალა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფონდის ბალანსზე არსებული ფულადი ნაშთების, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და ბალანსგარე ანგარიშზე აღრიცხული ნაშთების (ფინანსური) ინვენტარიზაცია. ინვენტარიზაციის შედეგების შესახებ აქტი შედგა 2022 წლის 26 აგვისტოს.

¹⁸ ინვენტარიზაციის აქტი 10.10.2022.

¹⁹ ინვენტარიზაციის აქტი 30.06.2022.

²⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით (მოქმედებდა 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების თანახმად, ორგანიზაციაში ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საანგარიშგებო წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო სავალდებულო ინვენტარიზაცია უნდა დასრულდეს საანგარიშგებო წლის ბოლოს, ანგარიშგების თარიღამდე.

²¹ უარყოფითი მოსაზრების საფუძველი – 1.5 სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები.

კომპონენტები, რომლებზეც	სამინისტროს აპარატი;
გაიცა რეკომენდაცია	სსდ – საავტომობილო გზების დეპარტამენტი;
შესასრულებლად	სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი.

1.6 მოკლევადიანი (მიმდინარე) საგადასახადო დებიტორული დავალიანებები

აუდიტის მიგნება	სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის საგადასახადო შედარების აქტის მიხედვით, საგადასახადო ზედმეტობა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 4,814 ლარს (2020 წელს: 21,041 ლარს), რაც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული არ არის. აღსანიშნავია, რომ ცენტრი საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებით საბუღალტრო ჩანაწერებს არ აწარმოებს. საგადასახადო შედარების აქტით 2021 წელს დარიცხულმა თანხამ 2,564,571 ლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილმა თანხამ – 2,548,344 ლარი შეადგინა.
მიზეზი	აღრიცხვის ნაკლოვანება და არასათანადო პრაქტიკა.
გავლენა	„მოკლევადიანი (მიმდინარე) საგადასახადო დებიტორული დავალიანებებისა“ და „გადასახადებით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებების“ მუხლის შესაძლო უზუსტობები.
რეკომენდაცია	იმ მიზნით, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში სრულყოფილად აისახოს განხორციელებული ეკონომიკური მოვლენების შესაბამისი ინფორმაცია, მნიშვნელოვანია, სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრმა ფინანსურ ჩანაწერებში სრულად ასახოს არსებული ინფორმაცია.
კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სსიპ – ევრაზიის საინვესტიციო ცენტრი.

1.7 შრომის ანაზღაურება

აუდიტის მიგნება	სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდში მთავრობის განკარგულებით ²² განსაზღვრა საშტატო ნუსხა და სახელფასო ფონდი, სადაც მოცემულია შტატით გათვალისწინებული თანამდებობების დასახელება, რაოდენობა და შესაბამისი თანამდებობრივი სარგო. ფონდში მთავრობის განკარგულების საფუძველზე დამატებით არ მტკიცდება დეტალური საშტატო ნუსხა, სადაც მითითებული იქნებოდა შესაბამისი დეპარტამენტები და თანამშრომელთა თანამდებობები. ფონდის შრომის ანაზღაურების უწყისებში ასახული თანამდებობები ზოგიერთ შემთხვევაში არ შეესაბამება მთავრობის განკარგულებით განსაზღვრულ თანამდებობებს.
მიზეზი	კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობის საკითხები.
გავლენა	შრომის ანაზღაურების უწყისებში/საშტატო ნუსხაში ასახული თანამდებობების შეუსაბამობა მთავრობის განკარგულებით განსაზღვრულ თანამდებობებთან.

²² „2021 წლის ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის შეთანხმების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 15 სექტემბრის N1654 განკარგულება.

რეკომენდაცია

მნიშვნელოვანია ფონდის დეტალური საშტატო ნუსხა, სადაც მითითებული იქნება შესაბამისი დეპარტამენტები და თანამშრომელთა თანამდებობები, მტკიცდებოდეს „საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის შეთანხმების თაობაზე“ მთავრობის განკარგულების საფუძველზე.

კომპონენტი, რომელზეც გაიცა
რეკომენდაცია
შესასრულებლად

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი.

2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები

2.1 მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები

აუდიტის მიგნება	სსდ – საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების“ მუხლში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხულია მოთხოვნები 11,832,611 ლარის ოდენობით (2020 წელს: 10,959,081 ლარით), რომელიც არასწორად გაზრდილია 5,338,054 ლარით (2020 წელს: 5,332,718 ლარით) და არ შეესაბამება დებიტორული დავალიანებების აქტივად აღიარების კრიტერიუმს, ვინაიდან შინაარსით არის საექვო მოთხოვნების რეზერვის თანხა. უნდა აღინიშნოს, რომ დეპარტამენტმა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციით შექმნა საექვო მოთხოვნების რეზერვი, თუმცა დაშვებულია ტექნიკური შეცდომა და ბალანსის ნაშთი გაზრდილია აღნიშნული თანხით.
კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სსდ – საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

2.2 მატერიალური მარაგები

აუდიტის მიგნება	სსდ – საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში „მატერიალური მარაგების“ მუხლის ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 6,534,896 ლარს, საიდანაც 4,729,201 ლარის საბალანსო ღირებულების მქონე მარაგებთან დაკავშირებით 2021 წელს ბრუნვა არ ფიქსირდება. ²³ მათ შორის არის 125,357 ლარის საბალანსო ღირებულების მარაგი, ²⁴ რომელიც შეფასდა შპს „საკონსულტაციო ჯგუფ კავკასიაუდიტის“ მიერ და დასკვნის თანახმად, ²⁵ მათი საბაზრო ღირებულება შეადგენს 0-ს. ²⁶ აქედან გამომდინარე, აღნიშნული აქტივები არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმს.
კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სსდ – საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

2.3 სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები

აუდიტის მიგნება	სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივების“ მუხლში ნაშთად ერიცხება შპს Construction Service-ისთვის ქ. მარნეულში ფეხბურთის სტადიონის სამშენებლო სამუშაოებისთვის ავანსად გადარიცხული 616,892 ლარი. კომპანიამ ფონდთან ხელშეკრულების ²⁷ შეწყვეტის გამო, აღნიშნული თანხა სახელმწიფო ბიუჯეტში დააბრუნა 2021
-----------------	---

²³ უმომრარო რკინისა და ბეტონის მასალები, დროებითი ხიდები.

²⁴ ბეტონის მეორადი მასალები.

²⁵ 2022 წლის 14 სექტემბრის N400 დასკვნა.

²⁶ უნდა აღინიშნოს, რომ დასკვნის შედეგების გასათვალისწინებლად მომზადებულია სამსახურებრივი ბარათი N11424-2 (21.09.2022).

²⁷ NGO/ET/CW/295 (25.09.2020).

წლის 5 ივლისს.²⁸ შედეგად, „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივების“ მუხლი გაზრდილია 616,892 ლარით.²⁹

კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი.

2.4 სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდის „სხვა არაფინანსური აქტივების“ მუხლის ბალანსზე ირიცხება 45,854,554 ლარის ქ. ბათუმის ნაპირდაცვის და სანაპირო ზოლის მოწყობის სამუშაოები.³⁰ ნაშთის ძირითადი ნაწილი წარმომოხილია 2020 წლამდე.³¹ აღნიშნული წარმოადგენს დაუმთავრებელ აქტივს, რაც ფონდს რომელიმე ორგანიზაციისთვის ბუღალტრულად არ გადაუცია. ფონდის მიერ ხელმოწერილი და გაგზავნილი მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით,³² აღნიშნული აქტივის ღირებულება განსაზღვრულია 56,960,486 ლარით, რაც 11,105,932 ლარით³³ აღემატება ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ინფორმაციას.

ფონდს ასევე ირიცხება 2,336,238 ლარის³⁴ დაუმთავრებელი აქტივები, რომლებზეც 2021 წელს ბრუნვა არ ფიქსირდება და შესაძლოა არ აკმაყოფილებდნენ აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

გარდა ამისა, „გრანტის ხარჯის“ მუხლში გამოვლენილი მიგნების შესაბამისად,³⁵ 18,771,838 ლარის არაფინანსური აქტივი არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმს. შედეგად, „სხვა არაფინანსური აქტივების“ მუხლი გაზრდილია 10,002,144 ლარით.

კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი.

2.5 შემოსავლები გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული

აუდიტის მიგნება

სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი ერთეულები ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ჯარიმას არიცხავენ კონტრაქტორებს, რასაც ქვითავენ შესრულებული სამუშაოდან ან თავად კონტრაქტორები რიცხავენ ჯარიმის შესაბამის თანხას სახელმწიფო ბიუჯეტში.

როდესაც ორგანიზაცია კონტრაქტორს არიცხავს ჯარიმას და კონტრაქტორმა სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა გადაიხადოს თანხა, სამინისტროს სააღრიცხვო

²⁸ 2021 წლის 5 ივლისის N1625492508 საგადახდო დავალება.

²⁹ დადებითად უნდა ჩაითვალოს, რომ 2022 წელს ობიექტის მიერ სამსახურებრივი ბარათის (N8110-მ, 03.11.2022) საფუძველზე 2022 წლის საწყისი ნაშთი დაკორექტირდა აღნიშნული თანხით.

³⁰ ობიექტი ექსპლუატაციაში შევიდა სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2022 წლის 3 მაისის, N14-04/05 ბრძანების საფუძველზე.

³¹ 2020 წელს მხოლოდ 733,714 ლარის ღირებულების სამუშაოებია დამატებული.

³² მიღება-ჩაბარების აქტი ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან არ არის ხელმოწერილი.

³³ აღსასანიშნავია, რომ ობიექტმა 2022 წლის საწყისი ნაშთი დააკორექტირა.

³⁴ 2,276,291 ლარის აქტივი, ინვენტარიზაციის აქტის თანახმად, არის პროექტით გათვალისწინებული ტექნიკის იმპორტის გადასახადის კაპიტალიზაცია, რომელთან დაკავშირებული აქტივიც უკვე გადაცემულია შესაბამის ბენეფიციარზე, ხოლო 59,947 ლარის კვლევის შედეგად წარმოქმნილი აქტივი არის წინა პერიოდის ხარჯი და არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

³⁵ უარყოფითი დასკვნის საფუძველი – 1.9 გრანტები, გარე ტრანსფერები, სხვა ხარჯები და სუბსიდიები.

პოლიტიკის თანახმად, ბიუჯეტის მიმართ წარმოშობილ ვალდებულებასთან ერთად აღიარდება შესაბამისი შემოსავალი და ხარჯი. 2021 წელს **სსიპ - მუნიციპალური განვითარების ფონდში** აღნიშნული შინაარსის მხოლოდ ერთი ტრანზაქცია დაფიქსირდა, რომელიც აღირიცხა სააღრიცხვო პოლიტიკისგან განსხვავებული მიდგომით. კერძოდ, ფონდმა აღრიცხა მხოლოდ ბიუჯეტის მიმართ ვალდებულება და არ აღიარებულა შესაბამისი შემოსავალი და ხარჯი 198,496 ლარის³⁶ ოდენობით.

ასევე, მუნიციპალური განვითარების ფონდში გურჯაანის პარკის რეაბილიტაციის პროექტთან დაკავშირებით, შპს „რეფორმა ქონსტრაქშენ მენეჯმენტთან“ გაფორმებული ხელშეკრულების³⁷ პირობების დარღვევის გამო,³⁸ კონტრაქტორისთვის დასაკისრებელი ჯარიმა 2021 წელს შეადგენდა 382,967 ლარს. ფონდმა კონტრაქტორს 2021 წელს 382,967 ლარის ნაცვლად დაარიცხა მხოლოდ 70,000 ლარის ჯარიმა, რომელიც დაუქვითა შესრულებული სამუშაოდან და აღრიცხა შემოსავლად. შესაბამისად, „შემოსავლები გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“, შემცირებულია 312,967 ლარით. აღსანიშნავია, რომ ობიექტმა დარჩენილი ჯარიმის თანხა კონტრაქტორს დაუქვითა გადახდის სერტიფიკატის შესაბამისად.³⁹

ზემოაღნიშნული ორი საკითხიდან გამომდინარე, „შემოსავლები გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“, შემცირებულია 511,463 ლარით, ხოლო „შიდა ტრანსფერებით ხარჯები“ შემცირებულია 198,496 ლარით.

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი.

კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

2.6 სხვადასხვა შემოსავლები

აუდიტის მიგნება

სსდ – საავტომობილო გზების დეპარტამენტმა „აქტივებისა და ვალდებულებების ფლობის შედეგად მიღებული სხვა მოგების“ მუხლში ასახა საავტომობილო გზის ასფალტბეტონის ანაფრეზის⁴⁰ მიღება, რომელიც ფინანსურ ჩანაწერებში აღიარდება როგორც შემოსავალი და მარაგი, ხოლო შემდეგ გადაეცემა ის შესაბამის მუნიციპალიტეტებს. აღნიშნული შინაარსით, მიღებულმა შემოსავლებმა 2021 წელს შეადგინა 3,970,979 ლარი. გამოვლინდა 633,640 ლარის ღირებულების ისეთი მარაგები, რომლებზეც დეპარტამენტმა შეტყობინება მიიღო 2021 წელს, თუმცა დასაწყობების აქტები თარიღდებოდა 2019-2020 წლებით და შესაბამისად, არ წარმოადგენდა მიმდინარე პერიოდისთვის მისაკუთვნებელ შემოსავალს. მათ შორის იდენტიფიცირებულია 58,872 ლარის მარაგი, რომელიც დუბლირებულად გატარდა.

³⁶ ხელშეკრულება NEIB/MIMP/W/NCB/46-2017, წერილი N3978-გ (29.12.21).

³⁷ ხელშეკრულება NEIB/MIMP/W/NCB/84-1-2019 (11.09.2019).

³⁸ სარეაბილიტაციო სამუშაოების დაგვიანებით შესრულება.

³⁹ გადახდის სერტიფიკატი N21 (26.01.2023).

⁴⁰ ანაფრეზი მიიღება არსებული ასფალტბეტონის გზის საფარის მოხსნის შედეგად.

ასევე: დეპარტამენტის უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილებით ფლობიდან მიღებული მოგება გაზრდილია 375,539 ლარით.

კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სსდ – საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

2.7 გრანტები, გარე ტრანსფერები, სხვა ხარჯები და სუბსიდიები

აუდიტის მიგნება

სსდ – საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2021 წლის ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგების „გრანტის ხარჯის“ მუხლში ასახულია ნინოწმინდის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემული 1,672,771 ლარის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლებიც მიეკუთვნება 2020 წელს და არ წარმოადგენს 2021 წლის ხარჯს.

კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სსდ – საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

აუდიტის მიგნება

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდის 2021 წლის ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგების „გრანტის ხარჯის“ მუხლში არ არის ასახული:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის წალენჯიხის მუნიციპალიტეტში პოლიციის ადმინისტრაციული შენობის 3,118,782 ლარის⁴¹ სამუშაოების გადაცემა;

- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისთვის სოფელ ხორნაბუჯში მდებარე საბავშვო ბაღის 843,712 ლარის⁴² სამშენებლო სამუშაოების გადაცემა;⁴³

- ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიისთვის სპორტული დარბაზისა და საცურაო აუზის 14,809,344 ლარის⁴⁴ სამუშაოების გადაცემა;

ამასთანავე, ფონდის 2021 წლის ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგების „გრანტის ხარჯის“ მუხლში ასახულია თიანეთის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემული 239,617 ლარის⁴⁵ სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული კაპიტალიზირებადი ზედამხედველობის ხარჯები, რომელიც მიეკუთვნება 2019 წელს და არ წარმოადგენს 2021 წლის ხარჯს.

შესაბამისად, ფონდის „გრანტის ხარჯის“ მუხლი ჯამურად შემცირებულია 18,532,221 ლარით.

კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი.

2.8 სხვადასხვა ხარჯები

აუდიტის მიგნება

სსდ – საავტომობილო გზების დეპარტამენტში უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილებით ფლობიდან წარმოქმნილი ზარალი შემცირებულია 155,920 ლარით.

⁴¹ გამოვლენილია ინვენტარიზაციის აქტით და ობიექტმა საწყისი ნაშთი დააკორექტირა 2022 წლის 1 იანვრით.

⁴² გამოვლენილია ინვენტარიზაციის აქტით.

⁴³ NGOG/ET/CW/231-1 (26.03.2021) მიღება-ჩაბარების აქტი.

⁴⁴ აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია ასახულია ინვენტარიზაციის აქტში.

⁴⁵ სოფელ ნადოკრა-ხევსურთსოფლის გზის რეაბილიტაცია, ხელშეკრულება NEIB/MIMP/W/NCB/49-1-2018.

კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სსდ – საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

2.9 ინვენტარიზაცია

აუდიტის მიგნება

სსიპ – მუნიციპალური ფონდის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის დროს გამოვლინდა, რომ ფონდის ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნაშთი გაზრდილია 180,163 ლარით.⁴⁶

კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი.

2.10 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

აუდიტის მიგნება

სამინისტროს განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი სსბასს 1 – „ფინანსური ანგარიშგების წარდგენის“ მიხედვით⁴⁷ განსაზღვრული ინფორმაცია. კერძოდ, განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი შესაძარისი თანხების რეკლასიფიკაციის შემთხვევები.

კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სამინისტროს აპარატი.

⁴⁶ შპს „იბოლიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება NSRMIDP-AF/CW/NCB/1-2020.

⁴⁷ სსბასს 1, მუხლი 55.

3. კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობის საკითხები

3.1 შრომის ანაზღაურება

აუდიტის მიგნება

საჯარო დაწესებულებაში სახელფასო დანამატის ერთდროული ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი თანამდებობისათვის/პოზიციისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს 1 თვის ოდენობას, ხოლო წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი სახელფასო დანამატის ოდენობა – თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 20%-ს.⁴⁸

ფონდში 2021 წელს დარღვეულია კანონის მოთხოვნა და „სპეციალისტის“ თანამდებობაზე მომუშავე თანამშრომელზე ზედმეტად დარიცხულია 2,400 ლარის დანამატი, რაც ექვემდებარება დაბრუნებას.

საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირის მიერ წლის განმავლობაში მიღებული ფულადი ჯილდოს საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ პირის მიერ დაკავებული თანამდებობის/პოზიციის თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 10%-ს.⁴⁹

ფონდში 2021 წელს დარღვეულია კანონის მოთხოვნა და ხუთ თანამშრომელზე ზედმეტად დარიცხულია 6,875 ლარის ფულადი ჯილდო, რაც ასევე ექვემდებარება დაბრუნებას.

კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა აუდიტის მიგნება

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი.

⁴⁸ „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლი.

⁴⁹ „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლი.

4. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

რეკომენდაცია რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად და უტყუარად წარდგენის მიზნით, აუცილებელია საავტომობილო გზების დეპარტამენტმა იმსჯელოს დაუმთავრებელი აქტივების ანგარიშზე დარჩენილი პროექტებისა და სამუშაოებისთვის გაუფასურების ინდიკატორების არსებობის შესახებ და იმოქმედოს სსბას 21-ის მოთხოვნების მიხედვით, ხოლო ისეთი აქტივების არსებობის შემთხვევაში, რომელთა მომავალში გამოყენება შეუძლებელია, იმსჯელოს გამომწვევ მიზეზებზე და იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე მნიშვნელოვანია, გზების დეპარტამენტმა ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრთან კოორდინაციით შეისწავლოს „სხვა არაფინანსური აქტივების“ შექმნასთან დაკავშირებული საზედამხედველო მომსახურების შესყიდვაზე გაწეული ხარჯების ოდენობა და განიხილოს მათი აქტივის ღირებულებაზე დამატების საკითხი.
რეკომენდაცია რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია მუნიციპალური განვითარების ფონდმა ჩაატაროს დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია, რის შედეგადაც დადგინდება დაუმთავრებელი აქტივების წარმოშობის საფუძვლები, სტატუსი და შემდგომში მათი ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობა, ხოლო ისეთი აქტივების იდენტიფიკაციის შემთხვევაში, რომელთა მომავალში გამოყენება შეუძლებელია, იმსჯელოს გამომწვევ მიზეზებზე და იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად.
რეკომენდაცია რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად და უტყუარად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია ფონდმა შეისწავლოს ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანებები, მათი წარმოშობის წლებისა და ხანდაზმულობის მიხედვით, შეაფასოს მათი სამართლიანად ასახვის კრიტერიუმები და შესაბამისად დააკორექტიროს აღნიშნული მუხლი.
რეკომენდაცია რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად და უტყუარად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია ცვეთის ხარჯის დათვლისას გამოყენებული ნორმები შეესაბამებოდეს ცვეთის ინსტრუქციის მოთხოვნებს.

რეკომენდაცია	იმისათვის, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში სრულყოფილად აისახოს განხორციელებული ეკონომიკური მოვლენების შესაბამისი ინფორმაცია, მნიშვნელოვანია, სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი ეკონომიკური მოვლენების ბუღალტრულად აღრიცხვას აწარმოებდეს აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად და უტყუარად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია ანალოგიურ ვითარებაში განხორციელებული მსგავსი ოპერაციებისა და მოვლენების მიმართ, სამინისტრომ შეიმუშაოს და გამოიყენოს ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შეუსრულებელი.
რეკომენდაცია	თავისუფალი ფულადი რესურსის ეფექტიანად განკარგვისთვის, მნიშვნელოვანია ფონდმა განსაზღვროს განახლებადი ენერგიის განვითარების პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხების დაფარვის შედეგად წარმოქმნილი ფულადი სახსრების გამოყენების მიზნობრიობა.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული.

საკონტაქტო ინფორმაცია

გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელი პირი	თეკლა ონიანი toniani@sao.ge
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემა	https://aris.sao.ge/
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელფოსტის მისამართი	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE